

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საიამ #15 დაწესებულების მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული უკანონო მოქმედებების თაობაზე პრესკონფერენცია გამართა

რამდენიმე დღის წინ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ #15 დაწესებულების მსჯავრდებულებმა საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მიმართეს. განცხადებას, რომელსაც დაახლოებით 700-მდე მსჯავრდებული აწერს ხელს, საუბარი იყო მათ მიმართ დროის სხვადასხვა მონაკვეთში განხორციელებულ ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხოვაზე.

აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემდეგ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია შეხვდა ცხრა მსჯავრდებულს, რომლებმაც ქსნის #15 დაწესებულებიდან ა.წ. 24 ივნისს გადაიყვანეს #1 დაწესებულებაში. მსჯავრდებულებმა საიას ადვოკატებთან საუბრისას დაასტურეს კოლექტიურ განცხადებაში მითითებული ფაქტები და შვიდმა მათგანმა განაცხადა თანხმობა გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მათი ახსნა-განმარტებები გადაეგზავნება მთავარ პროკურატურას. მეტიც, სამი მსჯავრდებული, ბესიკ გულედანი, ზურაბ ნასყიდაშვილი, და პაატა მოდებაძე თანახმანი არიან, რომ მოხდეს მათი სახელებისა და გვარების გასაჯაროება; რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი ამ ეტაპზე თავიანთი ვინაობის გასაჯაროებისგან თავს იკავებენ.

მსჯავრდებულებმა განცხადებით მათ მიმართ სხვადასხვა ტიპის უკანონო ქმედებებს ადგილი ქონდა, როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებისას, ასევე შემდგომ პერიოდშიც. პატიმართა ახსნა-განმარტებებიდან იკვეთება სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა შემდეგი ტიპის უკანონო ქმედებები:

მსჯავრდებულთა მოთავსება ნესტიან და ბინძურ აბანოში რამდენიმე დღის განმავლობაში;

სიტყვიერი შეურაცხოვა, გამოხატული შეურაცმხოფელ ფრაზებსა და გინებაში, ხოლო ფიზიკური შეურაცხოვა/ცემა ფეხებით, მუშტითა და ხელკეტით;

მსჯავრდებულთათვის კუთვნილი ნივთების უკანონო ჩამორთმევა;

მსჯავრდებულთათვის ჰიგიენური საშუალებები გადაუცემლობა, მათი შეძენის იძულების მიზნით;

დასჯის მიზნით საკნის კარის ჩაკეტვა და მსჯავრდებულთა გადაადგილების შეზღუდვა რამდენიმე დღის განმავლობაში; ასევე სამართო საკანში მოთავსება განმარტებების გარეშე;

თებერვლის თვეში, სიცივეში პერანგის ამარა მსჯავრდებულთა იძულებითი მოთავსება ღია ფანჯარასთან;

ელექტრომოკური მოწყობილობით ტკივილის მიყენება მსჯავრდებულთათვის სხეულის სხვადასხვა ნაწილზე;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მსჯავრდებულთა მიბმა ხელებით ლოგინზე;

ჩიძელებითი წესით თავის გადაპარსვა;

მსჯავრდებულებები ასახელებენ კონკრეტულ პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებებში. მსჯავრდებულთა მიერ დასახელებული პირებია: შოთა თოლორდავა, ლევან ლეჟავა, დიმა ჩხეიძე, გელა იოსავა, ასევე ვინმე, ფარჯანაძე, უჩა, კახა, და დიმა. მსჯავრდებულები პრეტენზიას ექიმის მიმართაც გამოთქვამენ, ვინაიდან, მათი განცხადებით ფიზიკური შეურაცხოვის მიღების შემდეგ, უშედეგოდ ითხოვდნენ ექიმთან შეხვედრას.

საიას დაუშვებლად მიაჩნია მსჯავრდებულთა მიმართ უკანონო და ამავედროულად ღირსებისა და პატივის შემლახავი ქმედებების განხორციელება. შესაბამისად, მოუწოდებს:

1. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება #15 დაწესებულებაში მომხდარ ქმედებებთან დაკავშირებით;
2. საქართველოს მთავარ პროკურატურას დროულად ჩაატაროს ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება და უზრუნველყოს ფაქტების ეფექტური გამოძიება;
3. #15 დაწესებულების ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ პატიმართა მიმართ უკანონო ქმედებები.

ამასთან, საია იმედოვნებს, რომ ფაქტების გახმაურება არ შეექმნის საფრთხეს კოლექტიური განცხადების ავტორთა უსაფრთხოებას და მათ მიმართ არ განხორციელდება მორიგი უკანონო, ღირსების შემლახავი ქმედებები.